ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №0901/10/002

ქ. თბილისი 3 იანვარი 2012 წელი

ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ ქ.თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა, გამგებლის თ. გრიგალაშვილის სახით, (შემდგომში წოდებული, როგორც "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ სს „ჯი ენ ენი" (შემდგომში წოდებული, როგორც "მიმწოდებელი"), მისი გენ. დირექტორის მ. კიკნაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია რაიონის ბიუჯეტის სახსრებით, საკაბელო მაუწყებლობის ტრანზიტით მომსახურების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით;
1.2. CPV კოდი 92232000.

II. ხელშეკრულების ობიექტი

2.1. ხელშეკრულების ობიექტია – საკაბელო მაუწყებლობის ტრანზიტით მომსახურების (მომსახურება 15 წერტილზე 48 არხიანი მაუწყებლობით, ღირებულებით თვეში 15X13=195 ლარი) განხორციელება.

III. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრა ლარებში;
3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 2340 (ორი ათას სამას ორმოცი) ლარს, მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული სხვა ხარჯებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გათვალისწინებით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა – ხელშეკრულების გაფორმებიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;
4.2. მიწოდების ადგილი-ნავთლუღის ქუჩა №8-1, რაიონის გამგეობის შენობა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ორივე მხარის უფლებამოსილი პირების ხელმოწერით, ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის განმავლობაში;
6.2. გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება როგორც წესი მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის იურიდიულ მისამართზე;
6.3. ანაზღაურების ადგილი ქ.თბილისი.

7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის ინსპექტირება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე;

7.2. ინსპექტირებას განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი;
7.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

9. სხვა პირობები

9.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;
9.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;
9.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;
9.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ორი ეგზემპლარი-შემსყიდველთან, ერთი ეგზემპლარი-მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;
9.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები და ბეჭედი

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა	სს „ჯი ენ ენი“
მის. ქ.თბილისი, ნავთლუღის ქუჩა №8-1	მის. ქ.თბილისი, წინამძღვრიშვილის 57/59
სს „ლიბერთი ბანკის“ ცენტრალური ფილიალი	სს „პროკრედიტბანკის“ ცენტრალური ფილიალი
ა/ა GE95LB 0125152101627000 კოდი LBRTGE22 საიდენტ. კოდი 208 204 959	ა/ა GE54PC0243600100016843 კოდი MIBGGE22 საიდენტ. კოდი 404 383 975
გამგებელი	**გენ. დირექტორი**
_____ თ. გრიგალაშვილი	_____ მ. კიკნაძე